ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ივნისი, კვირა, 1990 წ.
№ 117 (10 286) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „შევარდენი“

## პროფკავშირების საქართველოს [illegible] დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია გახდა

● ეს გადაწყვეტილება თბილისში 22 ივნისს გამართულ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რიგგარეშე ყრილობამ მიიღო.

● ფაქტობრივად, ეს იყო ეროვნული დამოუკიდებელი სპორტული საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა.

„შევარდენმა“ უნდა განაგრძოს ის ეროვნული საქმე, რასაც იგივე დასახელების სპორტული საზოგადოება ეწეოდა დამოუკიდებელ საქართველოში. ერის ფიზიკური გაჯანსაღება, ქართული სპორტის ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცება — ეს, რა არის „შევარდენის“ მთავარი ამოცანა. ამიერიდან ბოლო მოეღება ცენტრის დიქტატს. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ-მასობრივ მუშაობაში და დიდ სპორტში მთელი ორგანიზაციული საქმიანობა დაფუძნდება ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ ფიზიკური გაკაჟების ხალხური სისტემის ბევრი ელემენტი, რომელიც ოდითგანვე ჩამოყალიბდა საქართველოში და რაინდული აღზრდის საშუალებად იქცა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებას უნდა მოჰყვეს კონკრეტული საქმე — ეს მოთხოვნა განსაკუთრებით გამოიკვეთა დელეგატების გამოსვლებში, რაც ამავე დროს „შევარდენის“ თითოეული მუშაკისათვის ყრილობის განაწესია.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ზენაიშვილი. კამათში მონაწილეობდნენ: ა. მეგრელიძე — „შევარდენის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ზ. გვაჯავა — „შევარდენის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ცხოვრებოვი — „შევარდენის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, მ. მჭედლიძე — „შევარდენის“ ხაშურის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, ტ. გელაშვილი — სპორტკლუბ „იმედის“ დირექტორი, გ. კოხტავა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, თ. ბარამიძე — დროებით უმუშევარი, ჯ. სალიაშვილი — ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ფანჯიკიძე — მწერალი, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ნ. გაფრინდაშვილი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, პ. ჩხეიძე — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ზ. სიხარულიძე — საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი, ა. ციბაძე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.

ყრილობამ მიიღო რამდენიმე მიმართვა და საქართველოს პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში აირჩია „შევარდენის“ წარმომადგენლები.

საზონათშორისო ტურნირი

## კიდევ ორი ტური

**აზოვი.** მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის დამთავრებამდე ოთხი ტურიღა დარჩა: ლიდერმა — ჩინეთის წარმომადგენელმა ქ. პენმა მეთორმეტე და მეცამეტე ტურებში ქულანახევარი აიღო და კიდევ უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა. ახლა მას 9,5 ქულა აქვს (ცამეტი შესაძლებლიდან).

ქეთევან არახამიამ, რომელიც ამ ტურნირს უთანაბროდ ატარებს, ერთი შეხვედრა ი. ჩელუშკინასთან (სსრ კავშირი) დათმო, მეორე კი მონღოლ ც. ბაცეგსეგს მოუგო. მას ცამეტიდან 7,5 ქულა აქვს. ქეთინო კაზიანმა მეთორმეტე ტურის შეხვედრა ე. კლიმოვასთან (ჩეხოსლოვაკია) ყაიმით დაამთავრა, ბულგარელი მ. ვოისკა კი დაამარცხა და 8 ქულით ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

## ტურნირი ფულადი ჯილდოთი

**ამ** შეჯიბრებაში — ესაა საკავშირო საჭადრაკო ტურნირი „როქი-90“, პირველად თამაშდება ფულადი ჯილდოები. ასპარეზობას სამტრედია მასპინძლობს და „შევარდენის“ რაისაბჭოსა და რაიონის საჭადრაკო-საშაშო კლუბ „როქის“ თაოსნობით ტარდება.

ტურნირი სამ ჯგუფად ეწყობა. ყველაზე ძლიერები I ჯგუფში გამოდიან (62 მონაწილე). ჩატარდა ორი ტური. უძლიერესთა შორის დაწინაურდნენ გ. თორია (ზუგდიდი), დ. ჩაჩიბაია (სენაკი) და მ. ჰიპაშვილი (თბილისი).

ვასილ ვაშაკიძე (ტელეფონით).

„ლელომ“ შეკითხვა დასვა ● გამოხმაურება

„ლელომ“ 19 ივნისის ნომერში დაბეჭდა წერილი „როდემდის?“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფონიჭალის დასახლებაში არ არის მარტივი ტიპის სპორტული მოედანი. გაცნობებთ, რომ ფონიჭალის დასახლებაში 70-ე საშუალო სკოლას აქვს დახურული საცურაო აუზი და იქვე გვერდით მიმდინარეობს სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.

გარდა ამისა, ფონიჭალის ზემო დასახლებაში მშენებარე საცხოვრებელ სახლებთან პროექტით გათვალისწინებულია ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების, აგრეთვე, ჩოგბურთის კორტების მოწყობა, რომლის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება.

ზ. ლელაშვილი,
კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

რაიაღმასკომის ხელმძღვანელობას მადლობას მოვახსენებთ ოპერატიული გამოხმაურებისთვის. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ჩვენს წერილში ლაპარაკი არ ყოფილა სასკოლო სპორტულ ბაზებზე, რომლებიც ყველგან როდია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი. კრიტიკულ წერილში დაისვა კონკრეტული წინადადება, რომელზედაც, სამწუხაროდ, რაიაღმასკომი არაფერს გვატყობინებს.



ეს ფოტოსურათი უკვე ისტორიაა: მასზე აღბეჭდილია სსრკ ხალხთა I სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები. პირველ რიგში მარცხნიდან მეორეა რენა აბჟანდაძე, რომლის შესახებ მასალას რუბრიკით „აწმყო, შობილი წარსულისაგან...“ მე-2 გვერდზე გთავაზობთ.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.



## დებიუტიც ამას ჰქვია!

**ნორჩი** სპორტსმენისათვის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა დიდი ამბავია, მით უმეტეს თუ იგი ცამეტიოდე წლის მოჭიდავეა. ხუთ ამბროლაურელ ბიჭუნასაც, ალბათ დიდხანს გაჰყვება სიხარული, ბელორუსიის ქალაქ პინსკში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირზე რომ განიცადეს.

**სიხარულის** მიზეზი კი საფუძვლიანი ჰქონდათ: ხუთიდან ოთხმა გამარჯვებულის სახელი მოიპოვა, ერთმა კი მეორე ადგილი დაიკავა. არადა, მეტოქეები საკმარისად ჰყავდათ — პინსკში 24 გუნდმა მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლებიც. ასე რომ, თითოეულ ჩვენს მოჭიდავეს 8-8 შერკინების ჩატარება მოუხდა და, როგორც უკვე ვთქვით, მათ შესანიშნავად ჩაიბარეს გამოცდა ამ უჩვეულო, პირდაპირ მარათონულ ტურნირზე. ყველა მეტოქეს სძლიეს ალექსანდრე ქემოკლიძემ (32 კგ), ირაკლი თვარაძემ (35 კგ), ლევან ბარსონიძემ (44 კგ) და თამაზ მურუსიძემ (47 კგ), ხოლო თენგიზ ბაკურაძემ (38 კგ) მეორე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ისინი პირველად იყვნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ჩვენს ხუთეულს ერთი მწვრთნელი ჰყავს — სპორტის ოსტატი იაგო სირაძე, რომელიც მათ 1986 წლიდან ავარჯიშებს.

ამბროლაურელები მალე ჭიდაობის მოყვარულთა კლუბის გახსნას აპირებენ.

**სურათზე:** ამბროლაურის გუნდი. მარცხნიდან: მწვრთნელი იაგო სირაძე, ლევან ბარსონიძე, თამაზ მურუსიძე, თენგიზ ბაკურაძე, ირაკლი თვარაძე, ალექსანდრე ქემოკლიძე და მსაჯი გოჩა ჩორგოლიანი.

ფელდშაიკი - მქიოხვედი

**ისტბორნი.** აქ მიმდინარე უიმბლდონის წინა საერთაშორისო ტურნირში თითქმის ყველა საბჭოთა ჩოგბურთელმა მარცხი განიცადა. მესამე წრეში ძლიერი მეტოქე შეხვდა თბილისელ ლეილა მესხს ჩეხოსლოვაკიელი იანა ნოვოტნას სახით. ჩვენმა თანამემამულემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს... მხოლოდ პირველ პარტიაში (4:6), მეორე კი შედარებით ადვილად დათმო — 1:6.

ამ დღეს, მესამე წრეში უფლებამოსილება დათმეს, აგრეთვე, ლვოველმა ლარისა სავჩენკომ (სამხრეთ აფრიკელ როზალინ ფერბენკთან — 2:6, 2:6) და კიეველმა ნატალია მედვედევამ (ამერიკელ მერი-ჯო ფერნანდესთან — 1:6, 3:6).

მეოთხედფინალში მარცხი განიცადა საბჭოთა ჩოგბურთელმა ნატალია ზვერევამაც. ამბობენ, ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა, რომელმაც სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი შეგნებულად გამოტოვა, შესანიშნავ სპორტულ ფორმაშიაო. ეს ზვერევასთან ჩატარებულმა მატჩმაც ცხადყო. ნავრატილოვამ მეტოქე ორ პარტიაში დაამარცხა — 7:6 და 6:1.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია იანა ნოვოტნას (ჩეხოსლოვაკია) გამარჯვება თანამემამულე ჰელენა სუკოვასთან — 7:5, 6:4 და ამერიკელი ლორი მაკნილისა და ჰოლანდიელი მანონ ბოლეგრაფის ორთაბრძოლა. პირველი პარტია მოიგო ამერიკელმა ჩოგბურთელმა — 6:3, მეორე კი... შეწყდა წვიმის გამო.

**პარიზი.** 37 წლის პოლონელმა სპორტსმენმა ზბიგნევ კლიაპამ გაიმარჯვა ტრადიციულ, რიგით 44-ე შეჯიბრებაზე სპორტულ სიარულში. პარიზ-კოლმარის ტრასაზე მან 522,5-კილომეტრიანი დისტანცია 64 საათსა და 36 წუთში გაიარა. ქალთა შორის 340-კილომეტრიან ტრასაზე შოლონ-სიურ-მარნიდან კოლმარამდე უძლიერესი იყო ედიტ კუვე (საფრანგეთი) — 41 საათი და 48 წუთი.

# გახსოვთ, რენა აბჟანდაძე?

— ეს ბიჭი ნამდვილად ან მასახელებს ან... თავს მომჭრის! — რენა მასწავლებელმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი პატარა ცისფერმაისურიან ჩოგბურთელს — ირაკლი ლაბაძეს.

— რამდენი წლისა ხარ, ირაკლი?

— რვა... არა, ცხრა — იმ დღეს შემისრულდა და დამავიწყდა.

— აბა, თუ მეტყვი, შენი მწვრთნელი რამდენი წლისა იქნება?

— ოცდაშვიდი!

რენა აბჟანდაძემ ერთი მაგრად გადაიხარხარა და გულში ჩაიკრა მოწაფე.

სად იყო და სად არა, ირაკლის უმცროსი ძმაც გამოჩნდა—კოტე, ბიჭები ხუმრობით „სეგურას“ რომ ეძახიან.

— შენ რამდენისა ხარ?

— მე... უკვე „რვასი“.

„ექსპერიმენტი“ გავაგრძელეთ;

— ვერ მეტყვი, რენა მასწავლებელი რამდენი წლისაა?

(დუმილი)

— ასისა იქნება?

— არა... ოცდაერთისა.

...„დინამოს“ ჩოგბურთის ცენტრალური კორტის ვიწრო ტრიბუნაზე პირველ რიგში მარცხნივ ერთი ჩვეულებრივი ადგილია. „ჩვეულებრივი“ კია, მაგრამ მის შესახებ ჩოგბურთის ბევრმა გულშემატკივარმა კარგად უწყის. სწორედ აქ, ველური ყურძნის ხეივანში, იჯდა ტრადიციულად ჩვენი ჩოგბურთელების შესანიშნავი აღმზრდელი, პატივცემული არამ ხანგულიანი. მას გვერდს უზარმაზარი ზოლებიანი ქოლგის ქვეშ მუდამ უმშვენებდა ერთგული მეუღლე — ისიც ცნობილი თბილისელი ჩოგბურთელი და მწვრთნელი ევგენია ვერმიშევა. ამ თავისებურ იდილიურ სურათს შორიახლოს მოკუნტრუშე ხანგულიანების საყვარელი ციცქნა ფინიები — ჩუნიკი და ტუტიკი ავსებდნენ...

სწორედ აქედან, ამ სათვალთვალო „კოშკურა-ხეივნიდან“ ამოიცნო არამ ხანგულიანმა შავთვალა, მოხდენილ 14 წლის გოგონაში ჩოგბურთის მომავალი ჩემპიონი. იმ დღეს რენა აბჟანდაძე პირველად მივიდა „დინამოს“ კორტებზე, თან ოჯახში შემონახული ძველი ჩეხური ჩოგანი მოიტანა. სახლის ეზოში კედელზე ბევრჯერ „უბრახუნებია“ ამ ცისფერი ჩოგნით მკვრივი თეთრი ბურთი მეზობელ გოგოებთან ერთად. ძველი მუხრანის ხიდთან ცხოვრობდა, სკოლისაკენ მიმავალ-მომავალს დღეში ორჯერ მაინც უნდა ჩაევლო „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებთან. ჰოდა, ერთხელაც წაყვა ეზოს თანატოლებს — დებ სვეტასა და მარიას ვარჯიშზე, წაყვა და... ბედი არ გინდა — თვით ხანგულიანმა „დაადგა თვალი“: თითი დაუქნია გოგონას, აქ ამოდიო. გამოცდილი მწვრთნელი დაეკითხა რენას, სად ვარჯიშობდა, სად ისწავლა ასეთი დარტყმა. როცა შეიტყო, რომ მხოლოდ „ეზოს ჩოგბურთელი“ გახლდათ, წინადადება მისცა მის ჯგუფში ევარჯიშა. რენამ დაიმორცხვა და მწვრთნელს დაპირდა მოვალო, მაგრამ არც მეორე და არც მესამე დღეს არ გამოჩენილა. საქმე ისაა, რომ რენა მაშინ პიონერთა სასახლეში დადიოდა, მუსიკალურ ხელოვნებაზე ოცნებობდა და, თვითმოქმედ ოლიმპიადებზეც კი გამოდიოდა — უკვე რამდენიმე დიპლომი ჰქონდა მიღებული. ერთ დღეს ა. ხანგულიანი შინ ეწვია აბჟანდაძეებს, დიდხანს ესაუბრა რენას დედას: „თქვენს ბავშვს ჩოგბურთის ნიჭი აქვს, ნუ დავკარგავთ დიდი სპორტისათვის!“. მგონი დაარწმუნა ქალბატონი ვერა და რენაც.

ა. ხანგულიანისა და ე. ვერმიშევას ჯგუფში რენა აბჟანდაძეს მასავით მომავალი ჩემპიონები დახვდნენ — ლეონიდ მძინარიშვილი, პეტრე მეტრეველი (ალექსანდრე მეტრეველის უფროსი ძმა), გრანტ მუსაელიანი, ვლადიმერ გოგლიძე და სხვ. ერთი სიტყვით, იმხანად მგონი მთელი თბილისის გოგო-ბიჭები დადიოდნენ „დინამოს“ კორტებზე ა. ხანგულიანთან...

— ახლა ვარჯიშზე მშობლები და ბებია-ბაბუები უფრო მეტია, ვიდრე თავად ჩოგბურთელები —ხუმრობს (თუმცა, მგონი არ ხუმრობს!) რენა აბჟანდაძე.

1954 წლის მაისი იყო. აბჟანდაძე და მისი გულმოდგინე მწვრთნელი შეუდგნენ დიდ დამქანცველ გზას ჩემპიონობისაკენ. ხუთი თვეც არ იყო გასული და რენამ თბილისის გოგონათა პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. კიდევ ერთი თვის შემდეგ წარმატებით გამოვიდა სოხუმში გამართულ ამიერკავკასიის ზონალურ პირველობაზე მოსწავლეთა შორის, სადაც ჩვენი გუნდის შემადგენლობაში (მძინარიშვილი, მუსაელიანი, გოგლიძე და სხვ.) პირველობა არავის დაუთმო.

და აი პირველი საკავშირო ტურნირიც: ტალინი, 1955 წელი, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა გოგოებში. რენამ 8 საუკეთესოს შორის დაიმკვიდრა ადგილი. ამით მან უფლება მოიპოვა ქვეყნის პირველობაზეც ესპარეზა. შეჯიბრება იქვე, ტალინში გაიმართა. მართლაც უძლიერესმა ჩოგნებმა მოიყარეს აქ თავი ანა დიმიტრიევას მეთაურობით. რენამ 64 მონაწილეს შორის მე-13 შედეგი აჩვენა. გულთბილად ულოცავდნენ თანაგუნდელები ირინა რიაზანოვა, ლეონიდ მძინარიშვილი, ალიოშა ვერულავა, სიხარულს ვერ ფარავდა არამ ხანგულიანი.

აბჟანდაძემ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩოგბურთელობა და, რომ იტყვიან, ხელიდან აღარ იშორებდა საყვარელ ჩოგანს — ახლა მას თანამედროვე მოდელის „ტარტუ“ ჰქონდა.

„ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში 1956 წელს დაიბეჭდა ფოტორეპორტიორ მიხეილ ზარგარიანის სურათი „ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელები — ქვეყნის ჩემპიონები“. გამარჯვებულთა შორის მომღიმარე რენაც იდგა. ეს იყო მისი პირველი ფოტო გაზეთში. სწორედ ამას ჰქვია, ეს ერთი და სხვა მრავალიო...

— როსტოვის ტურნირიდან ტრიუმფით ჩამოვედით — იხსენებს რ. აბჟანდაძე, — გუნდური პირველობა ხომ მოვიპოვეთ. გარდა ამისა, მე და გრანტ მუსაელიანი ჩემპიონები გავხდით შერეულ წყვილთა თანრიგში, ირინა რიაზანოვამ და ევგენია ვერულავამ გაიმარჯვეს ქალთა წყვილებში, ხოლო ლეონიდ მძინარიშვილმა და გივი ლუკაშვილმა — ვაჟთა „დუეტებში“. დიდი ზარზეიმით, მთელი სასულე ორკესტრით დაგვხვდნენ თბილისის რკინიგზის სადგურში. გაუთავებლად გვილოცავდნენ ნაცნობ-უცნობები ჩვენ და ჩვენს მწვრთნელებს — არამ ხანგულიანს, ევგენია ვერმიშევას, მარია კლდიაშვილს, ვლადიმერ სერებრიანიკოვს. მართლაც დაუვიწყარი შეხვედრა იყო, დღესაც ნათლად მიდგას თვალწინ. იმ დღეებში საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში შემიყვანეს, მაშინ მას ბორის ნოვიკოვი და ვადიმ ბალვა ავარჯიშებდნენ.

იმ წელს მოსკოვში, როგორც ცნობილია, ხალხთა I სპარტაკიადა გაიმართა. 16 წლის რ. აბჟანდაძე უკვე მოზრდილთა გუნდში შეიყვანეს. საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა მას ისეთ აღიარებულ ოსტატებთან მოუწია, როგორიც იყვნენ გივი კოკაია, ვიქტორ ურაევსკი, ვანო ელერდაშვილი, ლეონიდ მძინარიშვილი, გივი ლუკაშვილი, კლავდია მინაევა, ირინა რიაზანოვა, მარგო იანვარაშვილი. საპატიო მეოთხე ადგილი ისეთ ძლიერ გუნდებთან ჭიდილში, როგორიც ჰყავდათ რუსეთის ფედერაციას, მოსკოვს, ესტონეთს — მოგეხსენებათ, ურიგო შედეგი არ იყო.

ამას მოჰყვა საერთაშორისო შეჯიბრებები ლენინგრადში, თბილისში, მერე უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ინდოეთში, რენა მეტწილად საპრიზო ადგილებზე გადიოდა და, რაც მთავარია, მაღალოსტატური, ლამაზი თამაშით ხიბლავდა სპეციალისტებსა და მაყურებლებს.

აბჟანდაძეს განსაკუთრებით ეამაყება, რომ თავის დროზე გამოდიოდა ჩოგბურთის ისეთ ბრწყინვალე ვარსკვლავთან ერთად, როგორიც ალექსანდრე მეტრეველი იყო. რენამ საერთოდ ჩოგბურთელის იდეალად მიიჩნევს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მეტრეველის თამაშის კინოგრამებს დღესაც სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნებში. სწორედ ა. მეტრეველთან, ჩვენს მეორე დიდებულ ჩოგბურთელ თეიმურაზ კაკულიასთან და სხვებთან ერთად მოუწია რ. აბჟანდაძეს 1967 წლის IV ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟის დაცვა. საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, შეიძლებოდა ჩემპიონიც გამხდარიყო...



მწვრთნელი არამ ხანგულიანი თავის ერთგულ მოწაფეებთან, იმხანად 20 წლის რენა აბჟანდაძესთან და 16 წლის ალექსანდრე მეტრეველთან.
ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ვინ მოთვლის, ვის არ შეხვედრია რ. აბჟანდაძე თბილისისა თუ სხვა ქალაქების დიდ კორტებზე —ამასთან, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს: თვით ნიკოლაი ოზეროვს და სერგეი ანდრეევს, ლილია პრეობრაჟენსკაიას და ვერა ფილიპოვას, ლერა კუზმენკო — ტიტოვასა და რუდოლფ სივოხინს, ანა დიმიტრიევასა და გალინა ბაკშეევას, თომას ლეიუსს, სერგეი ლიხაჩოვს, მიხაილ მოზერს, ოლგა მოროზოვას. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი რენას მუდამ „ძნელ“ და „არასასურველ“ მეტოქედ მიიჩნევდა.

1960 წელს რენას სპორტის ოსტატობა მიენიჭა და ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში შეიყვანეს პირველად. მერე მთელი 10 წელიწადი არ გამოსულა „შესანიშნავი ათეულიდან“, რომელშიც ერთხელ მესამეც კი იყო ანა დიმიტრიევასა და ირინა ერმოლოვას შემდეგ.

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და რენა აბჟანდაძემაც 1975 წელს 35 წლისამ (მეტრე შვილის მოლოდინში) გაუშვა ხელი საყვარელ ჩოგანს. ცხადია, ჩოგბურთის ღალატი არც უფიქრია და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. საამისო მოწოდებაც ჰქონდა და იზიდავდა კიდეც მწვრთნელის პროფესია.

ეკა ბოკუჩავა, ვიქტორ ხურდა, ირინე გერაძე, ინგა ანტონიანი — ქვეყნის პირველობებში გამარჯვებულები და პრიზიორები. ამ ოთხეულმა 1981 წელს უჟგოროდში საკავშირო გუნდური პირველობა მოიგო ახალგაზრდებს შორის, ხოლო გერაძემ და ხურდამ ჩემპიონობა მოიპოვეს ერთეულებშიც. ამასთან, ხურდამ ფინალში სძლია მომავალ ვარსკვლავს, მოსკოველ ანდრეი ჩესნოკოვს, ცხადია, ზემოთ დასახელებული ჩოგბურთელები რენა აბჟანდაძის ადრეულ მოწაფეთა ძალზე არასრულ სიას წარმოადგენენ.

დღესაც ჰყავს რენა მასწავლებელს ნიჭიერი მოწაფეები—ძმები ლაბაძეები უკვე ვახსენეთ. კიდევ? შვიდი წლის ჩოგბურთელები ლადო რიგვავა და ანდრო თოლორაია, 9 წლის გოგი ლაგვილავა და ნათია მიქელაძე, 10 წლის გიორგი მარგველანი და... დათო გოგილაშვილი — თავისი 14 წლის ვაჟიშვილი. დათოს მოგებული აქვს საკავშირო ჭაბუკთა ტურნირები თბილისსა და დონეცკში. ახლა იგი ესპანეთში გამოდის ევროპის პირველობაზე ჭაბუკთა შორის. მამამისი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ჩოგბურთის კორტების ცნობილი სპეციალისტი ჟანრი გოგილაშვილი ამბობს, რომ დათო სერიოზულად ფიქრობს ჩოგბურთელობაზე, იდეალად მასაც, რა თქმა უნდა, მეტრეველი მიაჩნია.

და კიდევ ერთი სურვილი აქვთ რენასა და მის მეუღლეს — მათსავით ჩოგბურთელი გამოვიდეს შვიდი წლის შვილიშვილი თაკო.

...ბინდი ჩამოწვა ჩოგბურთის კორტზე. დავიღალეთ მოუბარნი.

გამომშვიდობებისას რენა აბჟანდაძემ — საქართველოს ათგზის ჩემპიონმა, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა გოგონათა შორის, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა — ამ ჯალმოხდილმა სპორტსმენმა, სინანულით გვითხრა: — მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული. როგორც ჩანს, დღეს ხალხის მისწრაფება ერთობ მინელდა სპორტისადმი. უწინ ჩოგბურთში გაცილებით მეტი საინტერესო შეჯიბრება იმართებოდა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე კავშირში. გახსოვთ, ალბათ, რესპუბლიკის ჩემპიონატზე კი არა, თბილისის პირველობაზეც ბლომად მოდიოდა მაყურებელი, გულს ახარებდა ხალხით გადაჭედილი ტრიბუნები. სპორტული შეჯიბრება ნამდვილი ზეიმი და სიხარული იყო.

**ოთარ ნოზაძე.**

# ფიზიკური კულტურა ეკონომიკის სამსახურში

**უოველდღიურად** საბჭოთა კავშირში ავადმყოფობის გამო სამუშაოზე არ გამოდის საშუალოდ სამნახევარი მილიონი ადამიანი. ეს მართლაც მეტად დასაფიქრებელი ფაქტია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გაციებითი დაავადებები, რაც განპირობებულია უმთავრესად მშრომელთა გამოწრთობაგაკაჟების დაბალი დონით. დადასტურებულია, რომ ფიზიკური კულტურითა და სპორტით სისტემატურად მომეცადინენი ოთხჯერ უფრო ნაკლებად ავადმყოფობენ და შესაბამისად ოთხჯერ ნაკლებად კარგავენ სამუშაო დროს. ისინი კარგა ხნით ინარჩუნებენ მაღალ შრომისუნარიანობას, შემოქმედებით აქტივობას. ასეთები საშუალოდ 14-20 წლით უფრო გვიან ავლენენ სიბერის ნიშნებს. ამერიკელ მეცნიერს უოლტერ ბორიცს მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ეს ციფრი 40-მდეც კი აჰყავს.

ფიზიკური კულტურა დღეს ერთ-ერთ ეკონომიკურ ფაქტორად გადაიქცა. მარტო სამუშაო დღის რეჟიმში მუსიკის თანხლებით საწარმოო ტანვარჯიშის ჩართვის შედეგად შრომისნაყოფიერება საშუალოდ 10-20%-ით იზრდება, საწარმოო წუნის, ტრავმატიზმის შემცირებასთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის მასშტაბით შრომისნაყოფიერების ერთი პროცენტით ამაღლება საშუალებას იძლევა 5 მილიარდზე მეტით გაიზარდოს ეროვნული შემოსავალი, საწარმოო ფიზკულტურის სარგებლიანობა მართლაც ეჭვს არ იწვევს.

საწარმოო ფიზკულტურის სწორ გაგებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს მეტად საჭირო, ადვილად ხელმისაწვდომი და სასარგებლო ღონისძიება თვით საწარმოების ხელმძღვანელთა გონივრულ მიდგომას მოითხოვს.

„დადგენილია, რომ შრომისნაყოფიერება შეიძლება 5-10%-ით და მეტად გაიზარდოს. ეს ხომ მართლაც კოლოსალური რეზერვია, მისი გამოყენება უთუოდ შეამცირებს ავადმყოფობის პროცენტსაც. მეცნიერული გამოკვლევების მონაცემები მოწმობენ, რომ ისინი, ვინც ფიზკულტურას არ მისდევს, წელიწადში საშუალოდ 18 დღეს ავადმყოფობენ, ხოლო აქტიური სპორტსმენები მხოლოდ 2 დღეს თუ არიან შეუძლოდ.

ამასთანავე გამოანგარიშებულია, რომ მარტო ერთი ავადმყოფის მოვლა, მკურნალობა და კვება 18 დღეში დაახლოებით 180-200 მანეთი ჯდება. თუ ამას ავადმყოფობის ფურცლის განაღდებასაც დავუმატებთ და მიღებულ შედეგს ავადმყოფთა საერთო რაოდენობაზე გავამრავლებთ, გვარიან თანხას მივიღებთ.

საწარმოო გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემები სოციალურ ფაქტორად იქცა, საგრძნობ ეკონომიკურ კატეგორიად, ეკონომიისა და ახალი რეზერვების გამოყენების უდიდეს წყაროდ. არადა, თუმცა ჯერ არავის გამოუთვლია, მაგრამ რა დიდ ზარალს გვაყენებს ის, რომ სუსტი ფიზიკური მდგომარეობის გამო ნაადრევად გადიან პენსიაში კადრის მუშები, კვალიფიციური სპეციალისტები, დიდი ცხოვრებისეული პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანები. აი, ასე ძალით იბერებენ თავს ბევრნი, სანამ ნამდვილი სიბერე დაუდგებოდეთ“.

ფიზკულტურის ძალზე მნიშვნელოვანი ეფექტი გამოვლინდა ჩვენს მიერ ჩაის პლანტაციებზე ჩატარებული კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად. ჩაის მკრეფავთა სამუშაო დღის რეჟიმში ჩართული სპეციალური ვარჯიშების და შრომის პროცესის რეჟიმში ცვლილებათა შეტანის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომუშავეთა სოციალური სფერო, შრომისნაყოფიერება საშუალოდ 15-20%-ით გაიზარდა, ხოლო დაავადებათა რიცხვი შემცირდა ორნახევარჯერ. განსაკუთრებით დიდი ეფექტი გამოიღო ზემოხსენებულმა ღონისძიებებმა მოკრეფილი ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ზემოხსენებული ღონისძიებები მოიწონეს, მაგრამ მისმა ფართო დანერგვამ ჩაის პლანტაციებზე ჯერჯერობით მასობრივი ხასიათი მაინც ვერ მიიღო, რადგან ადგილებზე ხელმძღვანელ მუშაკებს ნაკლებად ესმით, ან არ სურთ გაიგონ ამ ღონისძიების მნიშვნელობა.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჯერ კიდევ არ არის გათვითცნობიერებული ფიზიკური კულტურის მნიშვნელობის არსში. მოკლედ განვმარტავთ იმ საკითხს, რომელიც შეეხება უშუალოდ შრომის პროცესში გამოყენებულ ფიზკულტურის ორ ფორმას: მუშაობის დაწყებამდე 7-10-წუთიან ე. წ. ჩამზიდ ტანვარჯიშსა და შრომის პროცესში ჩართულ 5-7-წუთიან ფიზკულტურულ პაუზებს. როგორც ჩამზიდი ტანვარჯიშის, ასევე ფიზკულტურული პაუზის ფიზიოლოგიური საფუძვლები დამყარებულია დიდი მეცნიერების, მათ შორის ჩვენი თანამემამულის, აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის მოძღვრებაზე, რომელიც გამოიყენეს ჩვენმა მეცნიერებმა გიორგი მღებრიშვილმა, სერგი ნარიკაშვილმა, ვასილ ელაშვილმა, შალვა ჩახნაშვილმა, სამსონ თედეევმა და სხვ.

**შრომის პირობების გაუმჯობესების — შრომისა და დასვენების მეცნიერულად დასაბუთებული რეჟიმის დადგენა-გამოყენებაში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს ფიზიკურმა კულტურამ.**

ცნობილია, რომ ძილის შემდეგ თავის ტვინი თანდათანობით გამოდის შეკავების პროცესიდან, ადამიანის ორგანიზმიც თანდათან „ილვიძებს“, რათა ყველა მისი ნაწილი და სისტემა აეწყოს მოქმედების ერთ რიტმში. ამას სჭირდება დროის სათანადო პერიოდი ცხოველმოქმედების შედარებით ოპტიმალურ ტემპში შესასვლელად. ეს პერიოდი, ე. ი. შრომისნაყოფიერების დაბალი დონე, გრძელდება საშუა-

იხ. მე-4 გვ.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„კოლხეთი-1918“ (ფოთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) — 1:0 (0:0).

ფოთი „ფაზისის“ სტადიონი. 20 ივნისი.

„კოლხეთი-1918“: მიქავა, ბაჯალიძე (კაკაჩია), ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, (ჭყონია), მახარაძე, ჯულელი, თვარაძე, ავრამიდისი.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, შავგულიძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე, ჯანაშია (შავდათუაშვილი), შენგელია (დვალიშვილი, ხუხიაშვილი), დარახელია, ფაიქიძე.

მსაჯები: მ. მალალურაძე, ზ. ლაცაბიძე (თბილისი), ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გააფრთხილეს სუხიაშვილი.

შეხვედრა ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ თამაში მალე გათანაბრდა და მე-6 წუთზე სტუმართა მეკარესთან პირისპირ გასულმა გიორგაძემ ხელიდან გაუშვა ნაღდი საგოლე მომენტი. ამის შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ — ჯულელს, მახარაძესა და თვარაძეს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში ფოთელები უზუსტოდ თამაშობდნენ.

მეორე ტაიმი ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით აქტიურობდა მინდორზე ახლადშემოსული შავდათუაშვილი, რომელმაც კინაღამ ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი. შეხვედრის ბედი გადაწყდა 70-ე წუთზე. ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე სახიფათოდ შეიჭრა გიორგაძე. სტუმრებმა მოიგერიეს მისი შეტევა, გამოიტანეს ბურთი საჯარიმოდან, მაგრამ მალე ბურთს ისევ ფოთელები დაეუფლნენ და გიგატაძემ უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. 1:0 — გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**ტრისტან მანია,**
**„ლელოს“ კორ.**

## სადისციპლინო კომისიის სხდომა

**ჩაიმართა** რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა. როგორც იცით, XIV ტურის შეხვედრაში (უმაღლესი ჯგუფი), ბათუმში ადგილობრივი „ბათუმი“ თბილისის „იბერიას“ მასპინძლობდა. ლიდერთა ეს მატჩი საქართველოს ტელევიზიითაც გადაიცა და ათიათასობით მაყურებელი მოწმე გახდა იმ შემზარავი ფაქტისა, რაც იბერიელმა თ. ქეცბაიამ ჩაიდინა. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს, რუსთაველ ჯ. წერეთელს.

კომისიამ, საგანგებოდ იმსჯელა ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ და **თ. ქეცბაიას ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია გამოუტანა**, ასევე, სადისციპლინო კომისიამ ქეცბაიას 10 შეხვედრაში პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა, ხოლო **„იბერიის“ კლუბმა კი ფეხბურთელი 3 ათასი მანეთით დააჯარიმა**, ამ შეხვედრაში არასპორტული საქციელის გამო **500-500 მანეთით დაჯარიმდნენ „იბერიის“ წევრები კ. ცხადაძე და კ. კაჰარავა.**

**თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა ხელმძღვანელობა ბოდიშს უხდის ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულებს მომხდარი ინციდენტის გამო და ღლუწქვამს, რომ უველაფერს იღონებს, რათა მსგავსი დარღვევა მათი მოთამაშეების მონაწილეობით აღარ განმეორდეს.**

# ისევ პროგნოზები, ისევ მკითხაობა...

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატი იტალიაში გადამწყვეტ ფაზაში შედის. ჯერ ერთი, გათამაშებას მხოლოდ უძლიერესნი შემორჩნენ, გარდა ამისა, მერვედფინალიდან დაწყებული შეჯიბრება გამოთიშვითი სისტემით წარიმართება და დამარცხებულებსაც უკვე ხსნის აღარავითარი შანსი აღარა რჩებათ; წააგე — გაემგზავრე შინისკენ.

ახლა, მერვედფინალებთან დაკავშირებით იწყება ახალი პროგნოზები, ახალი მკითხაობა, მაგრამ სპეციალისტები, მწვრთნელები უკვე აშკარად თავს იკავებენ კონკრეტული წინასწარმეტყველებისგან და ეს საქმე უმთავრესად ჟურნალისტებს დაუთმეს, ჟურნალისტს კი რა ენაღვლება — თუ მისი პროგნოზი არ გამართლდა, მას მაინცდამაინც ვერ დასწამებ ფეხბურთი არ გცოდნიაო...

გათამაშების პირველ, ჯგუფურ ეტაპზე ყურადღება მიიპყრო იმ ამბავმა, რომ 3 მატჩში ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვეს შვეციის ფეხბურთელებმა და თავიანთი ფრიად მოკრძალებული შედეგებით ამერიკის შეერთებული შტატების, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და სამხრეთ კორეის გუნდების დონემდე ჩამოქვეითდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მერვედფინალში გამსვლელი ქულა 3 იყო, 2 ქულით კი ვერც ერთი გუნდი ვერ მოხვდა 16 უძლიერესს შორის. ქულათა მაქსიმუმი — 6 მოაგროვეს მხოლოდ იტალიელებმა და ბრაზილიელებმა.

კარგად გვახსოვს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების წილისყრა შედგა, მაშინ არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ თქვა, რომ ყველაფერი კეთდება იტალიელთა გამარჯვებისთვის და „შინაური კედლების“ გარდა ამ გუნდს სხვა ძალებიც შემწეობას უწევენო. მარადონას ეს განცხადება, საორგანიზაციო კომიტეტმა მაშინ შეურაცხყოფად მიიღო და დააჯარიმა კიდეც ფეხბურთელი, მაგრამ ახლა, ჩემპიონატის მეორე ეტაპის წილისყრისას, კვლავ გამოვლინდა იტალიელთა იღბალი. ჯერ ერთი, იტალიელებს არც თუ ისე ძლიერი მეტოქე შეხვდათ, ვინაიდან ურუგვაელებმა მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლეს მერვედფინალში გასვლა, გარდა ამისა, უკვე ამ ეტაპზე ისინი ფაქტიურად ასცდებიან ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიც არიან ბრაზილია და არგენტინა, გფრ და ჰოლანდია. ყოველ შემთხვევაში, როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა მერვედფინალის წილისყრის საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, დარბაზში მყოფმა იტალიელმა ჟურნალისტებმა ტაში დასცხეს...

იტალიელი გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, თავიანთი გუნდის გამარჯვების მოლოდინით არიან აღვსილი, აქაური პრესა საგანგებოდ ხაზს უსვამს მწვრთნელის აძელიო ვიჩინის შეუდარებელ ტალანტს, რომელმაც საჭირო მომენტში მინდორზე გამოიყვანა ახალგაზრდები ბაჯიო და სკილაჩი. ხოლო სათადარიგოთა სკამზე დასვა თვით ჯანლუკა ვიალი. საკუთრივ ა. ვიჩინიმ კი განაცხადა, ნურვის ჰგონია, რომ ურუგვაი იოლი მეტოქეა, ესაა ძალისმიერი და მეტად სწრაფი გუნდი, ამიტომაც იტალიელებს, ალბათ, თამაშის ტაქტიკის შეცვლა დასჭირდებათ, ხოლო რაც შეეხება ბაჯიოსა და სკილაჩის შედარებას ვიალისა და კარნევალესთან, ეს სრულიად ზედმეტი ამბავია. ერთ მეტოქესთან ერთი წყვილი ითამაშებს კარგად, სხვასთან — მეორე.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა, სადაც შესანიშნავად თამაშობენ მათეუსი, ფიოლერი, კლინსმანი და სხვანი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გერმანელთა პირველი ორი მატჩი. პირიქით, თანდათან მოუმატეს თამაშს ბელგიელებმა და ესპანელებმა, ისინი მხოლოდ ჯგუფური ტურნირების დასასრულს შევიდნენ ფორმაში.

პროგნოზისტები ჯერჯერობით თავს იკავებენ კამერუნის, რუმინეთის, იუგოსლავიის, კოსტა-რიკისა და კოლუმბიის გუნდების შეფასებიდან, მაგრამ ისეთივე სიურპრიზები, რომლებიც პირველ ეტაპზე მოხდა, შესაძლოა, მერვედფინალებშიც გამეორდეს, ამიტომაც გადამწყვეტ წინასწარმეტყველებას ახლა თავს არიდებენ.

ი. ბლატერმა განაცხადა, რომ პირველი ეტაპის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა მერვედფინალში კოსტა-რიკის გუნდის მონაწილეობა, ეს კი, უდავოდ, იუგოსლაველი მწვრთნელის ბ. მილუტინოვიჩის დიდი დამსახურებაა. ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე გუნდების შერჩევის სისტემა მთლად სრულყოფილი არაა, მაგრამ სხვა, უკეთეს მეთოდს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. რაც შეეხება გუნდების კლასის გათანაბრებას, ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება.

საინტერესოა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში თავისებური რეკორდი დამყარდა; ფეხბურთელებმა უკვე ვერ გაიტანეს ხუთი 11-მეტრიანი დარტყმა, ხოლო 4 წლის წინ მექსიკაში მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ასეთი შემთხვევა მხოლოდ ოთხჯერ აღინიშნა. მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე სხვადასხვა დარღვევისათვის მინდვრიდან გააძევეს 8 ფეხბურთელი, ასზე მეტმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ირლანდიელებთან მატჩში, როგორც იქნა, ადრინდელი ძალით ითამაშა ჰოლანდიელმა რუუდ გულიტმა და როცა ეს ფეხბურთელი ფორმაშია, მეტოქეს დიდი სიძნელეები ელის. ეს თავისებური გაფრთხილებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდისთვის.

## მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

### კამერუნი — კოლუმბია

**გუშინ** დაიწყო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპის მატჩები.

ნეაპოლში ერთმანეთს შეხვდნენ კამერუნისა და კოლუმბიის გუნდები.

## მერვედფინალის მსაჯები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ არბიტრთა სია, რომლებიც იმსაჯებენ მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩებს:

**კამერუნი — კოლუმბია.** ტულიო ლანეზე (იტალია)

**ჩეხოსლოვაკია — კოსტა-რიკა.** ზიგფრიდ კირშენი (გდრ)

**ბრაზილია — არგენტინა.** ჟოელ კინიუ (საფრანგეთი)

**გფრ — ჰოლანდია.** ხუან ლოსტაუ (არგენტინა)

**ირლანდია — რუმინეთი.** ხოსე რაიტი (ბრაზილია)

**იტალია — ურუგვაი.** ჯორჯ კურტნი (ინგლისი)

**ესპანეთი — იუგოსლავია.** არონ შმიდჰუბერი (გფრ)

**ინგლისი — ბელგია.** პეტერ მიხელსონი (დანია)



## იტალიური კალეიდოსკოპი

● **ინგლისელი** გულშემატკივრების ყოველგვარ ზღვარსგადაცილებული საქციელის გამო იტალიაში მივლინებით იმყოფება დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. იგი თვლის, რომ ფეხბურთი მხოლოდ შირმაა, რომლის მიღმაც ბანდიტთა ჯგუფები თავიანთ „საქმეებს“ აგვარებენ. „ფენები“ მშვენივრად ორგანიზებულნი და აღჭურვილნი არიან პორტატიული რადიოგადამცემებით, რომლებითაც უკავშირდებიან თავიანთ „გენერლებს“.

● **ერთმანეთს** შეეჯახა ორი ავტობუსი, რომლებშიც ისხდნენ ინგლის-ეგვიპტის მატჩზე მიმავალი ინგლისელი გულშემატკივრები. ერთი კაცი დაიღუპა, 33 დაშავდა. საჭირო დახმარების შემდეგ ნაკლებად დაშავებულთა ერთი ჯგუფი საავადმყოფოდან სტადიონზე გაიქცა მატჩის საყურებლად.

● **„მსოფლიო** ჩემპიონები ცრუმორწმუნეობაში“ — ასე ეძახიან არგენტინის ნაკრებს იტალიაში. სსრ კავშირის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ მარადონამ, ბურუჩაგამ და მეკარე გოეკოეჩეამ პირობა დადეს ჩემპიონატის ბოლომდე არ გაეპარსათ წვერი. ტროლიო არ იცილებს თავისი 10 თვის გოგონას სურათს. „თავის ადგილს“ დაუბრუნდა უფროსი მწვრთნელის თანაშემწე პაჩამე, რომელიც ყოველთვის ბილარდოსაგან ხელმარჯვნივ, სათადარიგო მოთამაშეთა უკან იჯდა ხოლმე. იგი ამ „პოზიციაზე“ იყო მთელი წინა ჩემპიონატის მანძილზე და მხოლოდ კამერუნელებთან წაგებული მატჩის დროს შეიცვალა ადგილი.

● **არაბთა** გაერთიანებული საემიროების თავდამსხმელს ხალილ მურბარაკს გფრ-ის კარში გატანილი გოლისთვის ავტომანქანა „როლს როისი“ აჩუქეს, რობერტო ბაჯო კი, რომელიც ჯერჯერობით ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი გოლის ავტორად ითვლება, ამისთვის... ველოსიპედით დაასაჩუქრეს.



მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ რომში მოეწყო საერთაშორისო კონკურსი „მის უორლდ კაპ-90“, უბრალოდ, ულამაზესი ქალების კონკურსი, რომელიც მიეძღვნა მსოფლიო ჩემპიონატს.

გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა ლარისა ლიტიჩევსკაიამ, რომელსაც გადაეცა მსოფლიო ჩემპიონის თასის ასლი, ფულადი პრემია და იტალიის საგზური. ჩემპიონატს იგი ეხწრება, როგორც „ქალური სილამაზის ცოცხალი სიმბოლო“ — ასეა ჩაწერილი კონტრაქტში.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** ლარისა ლიტიჩევსკაია.

ა. კოტორაშვილის ფოტო (ტელეეკრანიდან)

● **იგი** უკვე 20 წელიწადია თან დაჰყვება ესპანეთის ნაკრებს და ფეხბურთელები მას გუნდის „მეთორმეტე მოთამაშეს“ ეძახიან. სწორედ ეს ნომერი აწერია მანოლოს ზურგზე ყოველთვის, მაგრამ მთავარი „თილისმა“ უშველებელი დოლია, რომელიც უკვე 20 წელია მისი უცვლელი „თანმხლებია“.

● **მსოფლიოს** მომავალი ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. მის ორგკომიტეტს ფიფა-მ უფლება მისცა ჩემპიონატის მატჩები გამართოს დახურულ სტადიონებზე, სადაც ამერიკულ ფეხბურთს თამაშობენ. ფიფა-ს წესებით აკრძალულია თამაში ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე, ამიტომ მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებმა ვალდებულება აიღეს ... ასეთ დარბაზში ბუნებრივ ... საფარი დააგონ.

რეტრო

## პირველად ფეხბურთის სამშობლოში

**არც** ერთ, მანამდე ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატს არ გამოუწვევია იმდენი დავა და უკმაყოფილება, რამდენიც ინგლისში, 1966 წელს გამართულ ტურნირს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მაშინ იყო ინგლისელი სტენლი როუზი, რომელმაც პრინციპულ საკითხებში ვერ გამოიჩინა ობიექტურობა და სხვა მხრივ უნაკლო ჩემპიონატს, კარგა გვარიანი ჩრდილი მიაყენა.

1966 წლამდე ბრიტანელ ფეხბურთელებს არაფრით გამოუჩენიათ თავი ჩემპიონატებში. ფეხბურთის სამშობლო მწარედ განიცდიდა იმას, რომ ვერც ერთხელ ვერ მიიპყრო „ოქროს ქალღმერთის“ (ასე ერქვა მაშინდელ პრიზს) „ყურადღება“ და მთელი იმედები VIII ჩემპიონატს დაამთხვია. ამ საქმეში ფიფა-ს პრეზიდენტის სახით მას საკმაოდ გავლენიანი მხარდამჭერი ჰყავდა.

ჯგუფური ტურნირების სირთულეები ინგლისელებმა მეტ-ნაკლები წარმატებით დაძლიეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკმაოდ უფერულ ფრეს მექსიკასთან (0:0). მეოთხედფინალში მასპინძლებმა საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში და მსაჯის აშკარა მხარდაჭერით სძლიეს არგენტინას — 1:0. სამაგიეროდ, ნახევარფინალი და გადამწყვეტი მატჩი შეუდარებლად უკეთ ითამაშეს და ფეხბურთის ისტორიაში პირველად დაეუფლნენ ჩემპიონის ტიტულს.

ინგლისის ჩემპიონატში ბრაზილიის ოქროს გუნდმა სასტიკი ფიასკო, ჭკუისსასწავლებელი მარცხი განიცადა — ჩემპიონმა ჯგუფურ ტურნირში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (პორტუგალიისა და უნგრეთის გუნდების შემდეგ) და ბრძოლის გაგრძელების უფლება ადრევე დაკარგა. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ ერთი მაშინდელი ფოტოსურათი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა: ფეხბურთის თვალცრემლიანი „მეფე“ — პელე და მისი დამხობილი გუნდი თავდახრილი ტოვებენ მოედანს. ეს ბრაზილიური ფეხბურთისთვის დიდი ტრაგედია იყო. ოთხი წელი დასჭირდა ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს თავისი კეთილი სახელისა და პრესტიჟის აღსადგენად.



• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** პირველ რიგში (მარცხნიდან) — მწვრთნელის ასისტენტი ჩეპარსინი, სტაილსი, ჰანტი, ბენქსი, ჯ. ჩარლტონი, კოენი, უილსონი და გუნდის მენეჯერი რამსეი. პირველ რიგში — პიტერსი, ჰერსტი, მური, ბოლი და ბ. ჩარლტონი.

# იჩქარეთ, დრო ცოტა დარჩა!..

**მონტე-კარლოში** ყოფილხართ? მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, იქ რომ „ფორმულა-1" კლასის ავტომანქანებით რბოლა იმართება, იმ მანქანების მძღოლებს სუპერლიცენზიები აქვთ.

„რუსთავის წრეზე" ყოფილხართ? მე ბევრჯერ, და ზუსტად ვიცი, იქ რომ ფორმულა „მონდიალის" და „ვოსტოკის" კლასების ავტომანქანებით რბოლა იმართება, იმ მანქანების მძღოლებს არავითარი ლიცენზიები არა აქვთ.

ჩვენში ავტოსპორტი არ ითვლება სპორტის პროფესიულ სახეობად და ამიტომ მძღოლებს ლიცენზიებიც არ მიეცემათ.

ერთ-ერთი ასეთი ულიცენზიო მრბოლია დავით რამიშვილიც. მერე რა, რომ იგი უკვე ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი ფორმულა „ვოსტოკით" რბოლაში? ის ხომ პროფესიონალი არ არის...

თუმცა, დათო ულიცენზიო მრბოლი მაშინ იყო, როდესაც ჩემპიონი გახდა, ახლა კი...

აქ კი, ვატყობ, უკვე დავაბნიე მკითხველი და სჯობს ყველაფერს თავიდან, უფრო დაწვრილებით მოვყვე.

დავით რამიშვილი პროფესიით ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, მოწამლულების საავადმყოფოში მიყვანის დღიდან, მათთან მუშაობდა, როგორც ფსიქოლოგი. მაშინ, როგორც გახსოვთ, რიგი ქვეყნების ექიმებმა გამოგვიწოდეს დახმარების ხელი. მათ შორის დასავლეთ გერმანიის მედიკოსებიც იყვნენ.

შემდეგ, უკვე ივნისში, გერმანელმა ფსიქიატრმა და ბიზნესმენმა, ვოლფგანგ ფრიკემ თავის კლინიკაში — „მელხიორსგრუნდში" — წაიყვანა ათი ყველაზე მძიმე ავადმყოფი და დათოც მათ გაჰყვა, როგორც ფსიქოლოგი და თარჯიმანი. იგი ბავშვობიდან სრულყოფილად ფლობს გერმანულ ენას.

დათომ უკვე იცოდა, რომ საკმაოდ დიდხანს მოუხდებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნა და ისე, ყოველი შემთხვევისთვის, „ხელს გააყოლა" თავისი სპორტული ბიოგრაფიის ამსახველი საბუთები. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანულ სპორტულ გამოცემებში ხშირად იბეჭდება განცხადებები — სპორტული მანქანების გამქირავებელი ესა და ეს ფირმა სამუშაოდ იწვევს მრბოლებსო და დათოსაც განზრახული ჰქონდა ხელშეკრულება დაედო ერთ-ერთ ასეთ ფირმასთან.

სექტემბრის ბოლოს ქართველმა მრბოლმა ჟურნალში „მოტორ სპორტ აქტუელში" გამოაქვეყნა განცხადება, რომ სურდა მონაწილეობა მიეღო გფრ-ის ღია ჩემპიონატში „ფორმულა ფორდის" ან „ფორმულა ოპელ-ლოტუსის" ავტომანქანით. მათთვის, ვინც არ იცის, უნდა განვმარტოთ, რომ ეს ორი კლასი ავტორბოლების მსოფლიო კლასიფიკაციაში ერთ-ერთი პირველი საფეხურია, საიდანაც მრბოლის გამოცდილებაც და შესაბამისად სპორტული დონის ოფიციალური შეფასებაც, როგორც იტყვიან, ნაბიჯნაბიჯ იზრდება. აქედან გამომდინარე, დათოს არ ჰქონდა უფრო მაღალი რანგის ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

განცხადების გამოქვეყნების მეორე დღესვე დარეკა ფირმა „ფრიცის" წარმომადგენელმა, რომელიც „ფორდის" მანქანებს აქირავებს. სწორედ ამ პირველი კონტაქტის დროს გაირკვა ხელშეკრულების დადების უმთავრესი პირობა — აუცილებელია სპონსორი, რომელიც საჭირო თანხას გადაუხდის ფირმას. სპონსორის პოვნა კი რთული საქმე გამოდგა. ერთი სიტყვით, პირველი „გარიგება" არ შედგა.

რამდენიმე დღის შემდეგ დარეკა ფირმა „ნოვოტეკის" წარმომადგენელმა. ამ ფირმას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის ავტომოყვარულები — ეს ის „ნოვოტეკია", რომელმაც თავის დროზე ხელშეკრულება გააფორმა „მოსკვიჩის" ქარხანასთან, მთელი თავისი სახსრები ახალი სპორტული მანქანის შექმნას შეალია და... მას შემდეგ ელის პასუხს მოსკოვიდან.

ერთი სიტყვით, „ნოვოტეკის" წარმომადგენელმა, რომელსაც მაშინ როგორც ერთობლივ გერმანულ-საბჭოთა ფირმას, უფლება ჰქონდა შტატში აეყვანა ქართველი სპორტსმენი. დავით რამიშვილს შესთავაზა „ფორმულა-3" კლასის ახალი მანქანით ასპარეზობა. „ნოვოტეკის" თავზე მაშინ ულრუბლო ცა იყო და მან დეკემბერში ქალაქ ესენში გამართულ ტრადიციულ ავტოსალონზე გამოფინა თავისი მანქანა, მრბოლებად კი დავით რამიშვილი და ერთი ავსტრიელი სპორტსმენი წარადგინა.

სიახლეს გარკვეული ინტერესით მოეკიდა საავტომობილო სპორტის სამყარო. მთავარი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა ავტოქარხნის დებიუტი გახლდათ (თუმცა საბჭოთა მხარის წარმომადგენლები იქ მხოლოდ დავით რამიშვილი და... „მოსკვიჩის" ძრავა იყვნენ).

ქართველი მრბოლის საქმე, ერთი შეხედვით, კარგად აეწყო, მაგრამ შემდგომ, როდესაც „მოსკვიჩის" ქარხანამ პირი უტეხა „ნოვოტეკს" და ფაქტიურ ბანკროტობამდე მიიყვანა, დათო რამიშვილი




დათო რამიშვილი ესენის ავტოგამოფენაზე „ნოვოტეკის" ფირმის სარბოლო მანქანასთან.

კვლავ „უმუშევარი" დარჩა.

მაგრამ, ნათქვამია, ობლის კვერი ცხვაო... ცოტა ხნის შემდეგ დათო ფირმა „ტკ მოტორ სპორტს" დაუკავშირდა და ერთობლივი ძალისხმევით იშოვეს სპონსორი — ფორდის ავტონაწილების პატარა მაღაზია, რომელმაც ჩემპიონატის პირველი ორი ეტაპის დაფინანსება იკისრა. ამასობაში დავით რამიშვილი უკვე „ც" ლიცენზიის მფლობელი გახდა, რომელიც გერმანიის უმაღლესმა ეროვნულმა სპორტკომიტეტმა დაუმტკიცა.

გფრ-ის ღია ჩემპიონატის პირველი ეტაპი კი დღე-დღეზე უნდა გამართულიყო. მანქანასთან შეჩვევის და ვარჯიშის დრო, ფაქტიურად, აღარ იყო, მარტის თვის ერთ მშვენიერ დღეს „ჰოკენჰაიმის" ტრასაზე „ფორდის" სარბოლო მანქანით, **პირველად მსოფლიო ავტოსპორტის ისტორიაში, სტარტის ხაზზე დადგა ქართველი მრბოლი დავით რამიშვილი.** დადგა ეგზომ ნანატრი წუთი, მსაჯმა ალამი აიქნია და მანქანებიც ადგილს მოსწყდნენ. სამწუხაროდ, ეს რბოლა სულ... ერთი წრე გაგრძელდა. დათოს წინ მიმავალი ორი მანქანა ერთმანეთს შეეჯახა და ტრასა გადაიხერგა. მანქანის გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო და დათოც თავის უცხოელ კოლეგებს „შეუერთდა". რბოლა შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ მანქანა უმნიშვნელოდ დაზიანდა, მის შეკეთებას მაინც დრო სჭირდებოდა.

შემდგომში დათო გამოტყდა, რომ ყველაზე მეტად მაშინ გაოცდა, როდესაც ფირმის პატრონისა და სპონსორის კმაყოფილი სახეები დაინახა. ბრწყინვალე სტარტი გქონდაო — უთქვამთ მათ დათოსთვის.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი ბელგიაში, „ზოლდერის" ტრასაზე უნდა გამართულიყო. გაუთვალისწინებელი შეფერხებების გამო მანქანის ბელგიაში ჩაყვანა შეყოვნდა და დათო რამიშვილი იძულებული შეიქმნა საკვალიფიკაციო რბოლებზე კვლავ უვარჯიშოდ გასულიყო. ამას დაემატა მანქანის ტექნიკური გაუმართაობაც და... საბოლოო ანგარიშით სტარტის დღეს დათოს მანქანა უკანასკნელ ადგილზე იდგა.

— ამ ეტაპზე დიდი იმედი არ მქონდა, — იხსენებს თავად სპორტსმენი. — მანქანას კარგად ვერ გავეცანი, თანაც წინა დღეს გვიანობამდე აკეთებდნენ სამუხრუჭე სისტემას. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, სტარტი ძალზე კარგი გამომივიდა და პირველივე წრის ბოლოს მეორე ადგილზე გადავინაცვლე. კიდევ ერთი წრის შემდეგ უკვე პირველი ვიყავი და დიდი უპირატესობით ვიგებდი რბოლას. თორმეტწრიანი რბოლის მეათე წრეზე ვიგრძენი, რომ რაღაც არ იყო წესრიგში, სიჩქარე დავაგდე და უკვე მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე ვფიქრობდი რბოლის დამთავრებას. ფინიშის ხაზი შორს აღარ იყო, მაგრამ... გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო და, ფინიშამდე სულ რაღაც 500 მეტრი რომ დარჩა, მანქანაც გაჩერდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც საერთო ფინიშისა და გავლილი წრეების დათვლის შემდეგ მესამე ადგილზე აღმოვჩნდი.

აქვე ვიტყვით, რომ **ორი ეტაპის საერთო ჯამში დავით რამიშვილი** ამჟამად მეოთხე ადგილზეა. წინ კიდევ რვა ეტაპია, მესამე სტარტი კი 1 ივლისს გაიმართება გფრ-ში.

დათო კვლავ პრობლემის წინაშე დგას: ფირმას ძალიან უნდა მასთან კონტრაქტის გაგრძელება, სპონსორს კი სხვა ეტაპების დასაფინანსებლად სახსრები აღარა აქვს. არადა, ამ კარგად დაწყებული დიდი საქმის შუა გზაზე მიტოვებაც არ შეიძლება. წარმოიდგინეთ — პირველი ქართველი სპორტსმენი გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე, **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატის მონაწილეთა სიაში პირველად გამოჩნდა ქართული გვარი,** დიქტორებმა ორი ევროპული ქვეყნის უმთავრეს სარბოლო ტრასებზე პირველად გამოაცხადეს, რომ ფირმა „ტკ მოტორ სპორტის" „ფორდის" მარკის მანქანის საჭეს უზის ქართველი მრბოლი და... **ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირველი ნაბიჯია ყველაზე პრესტიჟული „ფორმულა-1"-სკენ.**

ერთი სიტყვით, დავით რამიშვილს და მისი სახით ქართულ ავტოსპორტს დახმარება სჭირდება. საჭიროა სპონსორი, რომელიც დათოს შემდგომ ეტაპებზე ასპარეზობას დააფინანსებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს თავად სპონსორისთვისაც სასარგებლო საქმეა — მისი ნაწარმის რეკლამა ევროპულ სარბიელს იხილავს.

**თუ რომელიმე საწარმოს, დაწესებულებას, გაერთიანებას აქვს ამის სურვილი და შესაძლებლობა, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში დაუკავშირდეთ თავად დავით რამიშვილს (ტელ. 93-67-20), მისი ნდობით აღჭურვილ პირს (39-65-01, მალხაზ კურცხალია) ან „ლელოს" რედაქციას.**

**იჩქარეთ, სპონსორებო!**

**დრო ძალიან ცოტა დარჩა!**

**საქმე კი ძალზე სასარგებლოა, როგორც ქართული სპორტისთვის, ისე თქვენთვის!**

**გიორგი ქორქია.**

# ფიზიკური კულტურა ეკონომიკის სამსახურში

(დასასრული)

ლოდ ნახევარი საათიდან ერთ-ერთნახევარ საათამდე, რომლის დროს მუშაობისუნარიანობა და შრომის ნაყოფიერება თანდათან იზრდება და აღწევს სტაბილიზაციის დონეს.

მუშაობაში შესვლის პერიოდის შესამოკლებლად გამოიყენება მუშაობის დაწყებამდე ზემოხსენებული ჩამზიდი ტანვარჯიში, რომელიც მუშაობის დასაწყისიდანვე უზრუნველყოფს მომუშავეთა ორგანიზმის ყველა ნაწილებისა და სისტემების ფუნქციური მდგომარეობის ამაღლების საფუძველზე ერთ რიტმში აწყობას, მუშაობისუნარიანობისა და შრომის ნაყოფიერების მაღალ ტემპს თავიდანვე.

ფიზკულტურული პაუზა კი გვევლინება, როგორც დაღლის დამაქვეითებელი, სწრაფი დასვენებისა და სამუშაო დღის განმავლობაში სტაბილური მუშაობისუნარიანობის შემნარჩუნებელი ფაქტორი. ეს კი უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების სტაბილურ დონეს სამუშაო დღის ბოლომდე.

შრომის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების რაციონალიზაცია პირველ რიგში მიმართულია ნერვულ-ფსიქიკური დაძაბულობის, შრომითი ილეთების ამპლიტუდისა და ზედმეტი უსარგებლო მოძრაობათა რაოდენობის შემცირებისაკენ, ხელსაწყოთა და მექანიზმთა განლაგებით გაპირობებული შრომის ელემენტებზე დანახარჯთა ეკონომიისაკენ. ამ შემთხვევაში ფიზიკური კულტურა აქტიურ ზეგავლენას ახდენს მომუშავეებზე, რომელიც ამცირებს შრომის პროცესში ჩაბმული ადამიანის ზედმეტი ენერგიის ხარჯვას ცალკეული შრომითი ილეთების შესრულებისათვის მოძრაობის ზუსტი კოორდინაციის, ეკონომიისა და რიტმულობის მეშვეობით.

**კადრების მომზადება და მათი კულტურულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლება.** ფიზიკური კულტურისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის (შმო) აღნიშნული ელემენტის ურთიერთკავშირი მოცემულია ორ ასპექტში: ადამიანის შრომითი მოღვაწეობისადმი არასპეციფიკურ და სპეციფიკურ მომზადებაში.

ფიზიკური კულტურა როგორც მომუშავის მომზადების არასპეციფიკური ფაქტორი ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, სულიერ და ფიზიკურ დადებით თვისებათა აღზრდას და განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, არასპეციფიკური მუშაობისუნარიანობისა და ამტანობის განვითარებას, საერთოდ ბიოლოგიურ მექანიზმთა სრულყოფას, რაც უზრუნველყოფს შრომითი საქმიანობის დონის სიმყარეს რთულსა და ცვალებად პირობებში, ზოგად და სპეციალურ, შედარებით ნაყოფიერ სასწავლო პროცესს, რადგან ოპტიმალურად ნორმირებული ფიზიკური აქტიურობა ამაღლებს მომეცადინეთა გონებრივ მუშაობისუნარიანობასა და მოსწრების ხარისხს, ამცირებს საწარმოო სწავლებისა და პროფესიის დაუფლების ვადებს.

სპეციალური მომზადება ხორციელდება კომპლექსურად, ფიზიკური კულტურის საშუალებებისა და ღონისძიებათა მთლიანი სისტემის დახმარებით, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ-გამოყენებითი მომზადების ამოცანების განხორციელებას და უზრუნველყოფს ცალკეული პროფესიისათვის დამახასიათებელი აუცილებელი, სპეციფიკური თვისებების ოპტიმალურ დონეზე შესასრულებლად აუცილებელი ფიზიკური თვისებებისა და სპეციალობის წარმატებით დაუფლების და შრომითი საქმიანობისას მოძრაობითი ჩვევების ფორმირებას, განვითარებასა და სრულყოფას.

ამრიგად, სპეციფიკური ფიზიკური მომზადება წყვეტს ისეთ პროფესიულ-გამოყენებით ამოცანებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადამიანის ფორმირება, განვითარება და სრულყოფა.

შრომითი რესურსების სწორი გამოყენების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში ფიზიკურ კულტურას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

დადგა დრო, რომ ის, ვინც ცხოვრების ჯანსაღ წესს ეწევა, სისტემატურად მეცადინეობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, წახალისდეს როგორც მორალურად, ასევე ეკონომიურად. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას სხვადასხვა სტიმულები, მათ შორის სოცდაზღვევის სახსრების ნაწილი, რომელიც ძირითადად დათმობილი აქვს საავადმყოფო ფურცლების განაღდებას. ამაზე კი, მოგეხსენებათ, ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება.

ცნობილია, რომ რიგ ქვეყანაში მუშაკს, რომელიც ინარჩუნებს თავის ფიზიკურ მომზადებულობას გარკვეულ დონეზე, გადიდებული და დამატებითი ხელფასი ეძლევა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ჯანმრთელობა უდიდესი საგანძურია და ყოველი ქართველის ვალია თავისი ჯანმრთელობის განმტკიცებით გაამდიდროს, გაამრავლოს ეს საგანძური.

აქედან გამომდინარე, უმოძრაობით კი არ უნდა ვაუძლურებდეთ და ვასუსტებდეთ ჩვენს ორგანიზმს და არ ვშხამავდეთ მას ალკოჰოლითა და თამბაქოთი, არამედ პირიქით, სრული შეგნებით, დიდი პასუხისმგებლობით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვეპყრობოდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, განუწყვეტლივ სრულვყოფდეთ ფიზიკურ თვისებებსა და ვიმაღლებდეთ მუშაობის უნარიანობას. ყოველივე ეს საჭირო იქნება დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

**აკაკი დოკვაძე,**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.**

ავტორი სთხოვს რედაქციას ამ მასალის ჰონორარი ჩაირიცხოს საქართველოს ეოკ-ის ანგარიშზე.

## „სპორტპროგნოზი"

**„C-5" სპეციალური ტირაჟის შედეგები**

**(8-21 ივნისი)**

ა-1 (იტალია), ბ-6 (კამერუნი), გ-9 (ბრაზილია), დ-13 (გფრ), ე-20 (ესპანეთი), ვ-21 (ინგლისი).

**შენიშვნა:** ასოებით აღნიშნულია ჯგუფები, ციფრებით — გუნდების ნომრები.

რედაქტორი

**თ. ბაჩეჩილაძე.**

**საქართველოს** უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი გაცნობებთ, რომ ასოციაციის ემბლემის შესაქმნელად კონკურსის ვადა გაგრძელებულია ა/წლის 15 ივლისამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებით: 34-81-29, 34-80-67.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისათვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-28, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:**
**66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზართა კორპუსში: ხაზარაულის, 29.**

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779